ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 43 (10237) 6 ნოემბერი, 2017 წ. ფასი 50 თეთრი.

ლევა ნინიძის ყელით გასროლილმა „სოლემიოს“ ექომ დედაქალაქში ფურორი მოახდინა

გასულ ორშაბათს „ნიჭიერში“ დიდებული ასკანელი კაცის, ლევან ნინიძის ყელით გასროლილმა „სოლემიომ“ თბილისში ნამდვილი ფურორი მოახდინა. რა ბედნიერებაა!!! ისე, ეს დედაქალაქელებისა და „ნიჭიერის“ ფილარმონიაში მხილველთათვის არის ფურორი, თორემ ჩვენთვის, ოზურგეთელებისთვის, გურულებისა და გურიაში მცხოვრებლებისთვის ღვთისგან გულის სამებლად და სულის სამშვენისად გამოწერილი სიამოვნებაა!

სადაური მუსიკალური ნომრის შემფასებელი მე ვარ, მაგრამ, ჩემი ნება რომ იყოს, ბატონ ლევანს რას, რას და უსიტყვოდ გამარჯობის თქვას არ დავანებებდი, რადგან მისი ხმიანი გამარჯობაც ისეთივე კლასიკაა, როგორც თბილისში ნამღერი „სოლემიო“!

ლევან ნინიძე 21 ოქტომბერს ჩატარებულ თვითმმართველობის არჩევნებში მშობლიური ასკანის მაჟორიტარი დეპუტატი გახდა. მოკლედ, მას კარგი ღვინობისთვე უდგას. ვულოცავთ და ვუსურვებთ სულ მაჟორით წაეყვანოს როგორც მშობლიური, კოლორიტული სოფლის საქმე, ისე საკუთარი ჰარმონიული შემოქმედება.

გაზეთ „ალიონის“ სახელით
თემურ მარშანიშვილი.

მეფარიშვილების მძიმე ყოფა

იამზე მეფარიშვილი: „არ ჰქვია ამას ცხოვრება“

მარი კოკოევი

59 წლის იამზე დავლაშერიძე-მეფარიშვილი და მისი მეუღლე 65 წლის ანტონ მეფარიშვილი იაკობ შემოქმედელის №14-ში მოკრძალებულ სახლში ცხოვრობენ. ჰყავთ ორი შვილი, გივი და დავითი, მაგრამ მათთან არც ერთი ცხოვრობს. ქალბატონ იამზეს რამდენიმე დაავადება აწუხებს, აქვს დიაბეტი, ნაღვლის ბუშტში მოძრავი ქვა. გასაკეთებელი აქვს თიაქრის ოპერაცია. მკურნალობას ვერ ახერხებს, რადგან ოჯახის შემოსავალი მხოლოდ ანტონის პენსიაა, რომელიც, შვილის ავადმყოფობის გამო, წინასწარ გამოიტანა და ხელზე მხოლოდ 90 ლარს იღებს. სიდუხჭირის გათვალისწინებით, მიიჩნევენ, რომ სოციალური დახმარება ეკუთვნით. რამდენჯერმე მიმართეს კიდეც სოციალური მომსახურების სააგენტოს. ყოველ ჯერზე მაღალი სარეიტინგო ქულა მიეკუთვნათ. 2014 წელს მათი სარეიტინგო ქულა 104 170 იყო. ბოლოს დეკლარაცია 2016 წლის 19 იანვარს შეავსეს. 2017 წლის 19 იანვარს სარეიტინგო ქულად 152 170 მიენიჭათ.

ოჯახი მიიჩნევს, რომ სარეიტინგო ქულა მათ დღევანდელ მდგომარეობას არ შეესაბამება.

„შვილები ჩვენთან არ ცხოვრობენ. როგორ იცხოვრებენ ქოხში. ერთს ცოლ-შვილი ჰყავს საკუთარი სახლი არც ერთს არ აქვს, ქირით ცხოვრობენ. უფროსმა შვილმა ათი წელი საკონტრაქტო ჯარში იმსახურა, შეიარაღების სერჟანტი იყო. მერე სამსახურში მძიმედ მოიწამლა, რამაც სისხლის და სისხლძარღვების მძიმე ქრონიკული დაავადება გამოიწვია. არ მისცეს არც პენსია არც კომპენსაცია. მე დიაბეტიანი ვარ, წამლის ფული არ მაქვს. როგორ გაძლებს დიაბეტიანი უწამლოდ? ქალაქის მერიამ ერთჯერადი დახმარების სახით ორჯერ მომცა 100-100 ლარი. ამით ერთხელ და ორჯერ შევიძინე საჭირო მედიკამენტები. მაგრამ სხვა დროს რა ვქნა? ჩემი დაავადებები მუდმივ მკურნალობას საჭიროებს. წვიმაში წყალი ჩამომდის, სახურავია შესაკეთებელი. დახმარება ვითხოვე, ჯერ არაფერი ჩანს. ნაძვი მომცეს, დაამუშავეო, მაგრამ მარტო ნაძვი ვერ გადაჭრის ჩემს პრობლემას. არანაირი შემოსავალი არ მაქვს 5 ძირი თხილის გარდა. ალბად, სოციალურმა აგენტმა ამ თხილს მიაქცია ყურადღება. სიმწრით ვცხოვრობ. არც ჰქვია ამას ცხოვრება“.

სიტუაციაში უკეთესად გასარკვევად ქალბატონ იამზესთან ერთად სოციალური

გვ-2

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 8 ნოემბერს.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოთშაბათი ალიონზე

«ალიონით»

მეფარიშვილების მძიმე ყოფა

იამზე მეფარიშვილი: „არ ჰქვია ამას ცხოვრება“

მომსახურების სააგენტოში მივედით. გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის მოადგილეს **ვანო გოგოლაშვილს** შევხვდით. შეხვედრისას ჩვენმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ დეკლარაციის შევსებიდან ერთ თვეში სოციალური მომსახურების სააგენტოში ე.წ. ფორმა ასი წარადგინა, რასაც სარეიტინგო ქულაზე შეეძლო გავლენის მოხდენა, თუმცა ცნობის დეკლარაციაში შეტანაზე უარი უთხრეს დაგვიანების მიზეზით.

ვანო გოგოლაშვილი: „თუ ფორმა ასი არ გქონდათ აგენტის თქვენთან ყოფნის მომენტში, შეგიძლიათ მოგვიტანოთ სამი თვის ვადაში. თუ კანონმდებლობა ითვალისწინებს თქვენი ფორმა ასის დეკლარაციაში შეტანას, განცხადების საფუძველზე შევა დეკლარაციაში და გარკვეულ კორექტივებს შეიტანს სარეიტინგო ქულაში. მაგრამ, მოგეხსენებათ, ფორმა ასი ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება გაიცეს. გააჩნია, მასში რა წერია. ნებისმიერ სიტუაციაში მისი გათვალისწინება ვერ მოხდება. არის მთავრობის დადგენილება, რომელშიცაა ჩამონათვალი დაავადებებისა, რომელიც შეიტანება დეკლარაციაში. შეგიძლიათ თავიდან მოიტანოთ აღნიშნული დოკუმენტი თუ დეკლარაციის შევსებიდან სამი თვე არ არის გასული, მასში შევა ცვლილებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა მოხდეს დეკლარაციის თავიდან შევსება“- უპასუხა იამზე მეფარიშვილს გოგოლაშვილმა.

როგორ აწარმოებენ ახალ მუნიციპალიტეტებში 2017 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯვას და როგორ განხორციელდება 2018 წლის ბიუჯეტის ფორმირება

ალიონი. „2017 წელს შექმნილი მუნიციპალიტეტების დროებითი ბიუჯეტების შედგენის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის მიერ 20 ოქტომბერს მიღებულ №471 დადგენილებაზე კომენტარი ვთხოვეთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელს გია მამაკაშვილს.

მამაკაშვილის თქმით, ხსენებული დადგენილებით, განსაზღვრულია, როგორ უნდა აწარმოონ 2017 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯვა და როგორ უნდა განხორციელდეს ახა 2018 წლის ბიუჯეტის ფორმირება ახალ მუნიციპალიტეტებში.

2017 წლის ბოლომდე ახალი მუნიციპალიტეტების შესაბამის საბიუჯეტო ორგანიზაციებს მიეცათ უფლება, ახალი მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების შესაბამისად, განკარგონ გასაუქმებელი მუნიციპალიტეტების 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები, მათ მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ფუნქციებისა და ვალდებულებების, მათ შორის „2017 წელს გაუქმებული მუნიციპალიტეტების საკუთრებაში/ სარგებლობაში არსებული უძრავი/მოძრავი ქონებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციისა და 2017 წელს შექმნილი შესაბამისი მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 31აგვისტოს №416 დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

ახალი მუნიციპალიტეტის მერმა, უფლებამოსილების ცნობიდან 10 სამუშაო დღის ვადაში უნდა უზრუნველყოს ახალი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა გაუქმებული მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში არსებული რესურსების განკარგვისა და მათ განკარგვაზე უფლებამოსილი საბიუჯეტო ორგანიზაციების შესახებ.

საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე გასაუქმებელი მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო ორგანიზაციებს მიეცათ უფლება, განკარგონ გასაუქმებელი მუნიციპალიტეტების 2017 წლის ბიუჯეტის თანახმად, მათ განკარგვაში არსებული რესურსი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თუ ახალი მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობა განხორციელდება ახალი მუნიციპალიტეტის მერის უფლებამოსილების ცნობამდე, ახალი მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება განხორციელდება იმ გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით საკრებულოსთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან, რომლის 2017 წლის ასიგნებები, ამ დადგენილების ამოქმედებამდე არსებული მდგომარეობით მეტია.

2017 წლის ბოლომდე ახალი მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებისათვის საჭირო რესურსის მობილიზება განხორციელდება იმ გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, რომლის 2017 წლის ასიგნებები ამ დადგენილების ამოქმედებამდე არსებული მდგომარეობით მეტია.

ამ წესის ამოქმედების შემდგომ ახალი მუნიციპალიტეტების მიერ აღებული ახალი ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება გასაუქმებელი მუნიციპალიტეტების იმ ბიუჯეტებიდან, რომელთა 2017 წლის ბიუჯეტის ასიგნებები ამ წესის ამოქმედებამდე არსებული მდგომარეობით მეტია. დასაფინანსებლად შესაბამის გასაუქმებელ ბიუჯეტში რესურსის მობილიზება შესაძლებელია მხოლოდ მეორე გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის ბიუ-ჯეტში არსებული რესურსის შემცირების ხარჯზე.

მამაკაშვილმა გაგვაცნო ასევე საქართველოს მთავრობის ამ დადგენილებით ახალი მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ფუნქციონირებასთან დაკაშირებული ხარჯების გადანაწილების პრინციპი, ახალ მუციციპალიტეტებს შორის შემოსულობების და ნაშთის გადანაწილება, გამონაკლისის რეგულირება და ახალი მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის განსზღვრა.

კითხვაზე – რამდენად შესაძლებელია ათი სამუშაო დღის განმავლობაში ახალი მუნიციპალიტეტი 2018 წლის ბიუჯეტის განსაზღვრა, მამაკაშვილმა გვიპასუხა:

„მიღებული გვაქვს 2018 წლის სატრანსფერო პარამეტრები, როგორც თემის, ისე ქალაქისა, ვიცით ჯამურად რამდენია იგი. შესაბამისად დაგეგმილი გვქონდა შემოსულობები (ადგილობრივი). მოკლე პერიოდში დაზუსტდება შრომის ანაზღაურების, სუბსიდირების, საქონლისა და მომსახურების მუხლები. ამაში იგულისხმება სამსახურების, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებისა და შპს-ების შერწყმა-გაერთიანება. გვაქვს კანონი რანგირების შესახებ. ასე რომ, ველოდებით თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის დამთავრებას, რათა განსაზღვრულ ვადაში, 10 სამუშაო დღეში წარმოვადგინოთ ახალი, 2018 წლის ბიუჯეტი.

მართლაც უზარმაზარი შრომაა გასაწევი. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ მთლად სრულყოფილი ბიუჯეტის წარდგენას შევძლებთ, მაგრამ იგი აუცილებლად იქნება რეალობასთან დაახლოებული, ვინაიდან ქვეყანაში მოქმედებს ბიუჯეტის დაგეგმვის პროგრამული სისტემა, ანუ ერთნაირი მიდგომებია“, – გვითხრა გია მამაკაშვილმა.

მე ვარ შენი თანამდევი უკვდავი სული“

ალიონი. 1987 წელს საქართველოში ფართოდ აღინიშნა პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, 1861-1907 წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის, ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავი. საიუბილეო კომისიამ ორი წლით ადრე დაიწყო ამ თარიღის შესახვედრად სამზადისი. ჩატარდა სამეცნიერო სესიები, მომზადდა გამოცემები და ა.შ. შემდგომ პერიოდში ქართულმა მართლმადიდებულმა ეკლესიამ ილია ჭავჭავაძე წმინდანად შერაცხა და მას ილია მართალი უწოდა.

წელს, 8 ნოემბერს, ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180 წელი შესრულდება. ამ თარიღთან დაკავშირებით, სოფელ შრომის საჯარო სკოლის ლიტერატურულ სალონ „ივერიონის“ წევრებმა ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია „მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი სული“ წარმოადგინეს. ღონისძიების მეორე ნაწილში კი დამსწრე საზოგადოების წინაშე სკოლის აღმზრდელ-პედაგოგები – სიტყვიერებისა და ისტორიის მასწავლებლები წარდგნენ.

საღამო სკოლის დირექტორმა **რუსუდან ცეცხლაძემ** გახსნა.

–„უფალმა მოგვანიჭა ბედნიერება მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, „საქართველოს მამად“ წოდებული, ერისკაცისა და ღვთისკაცის ნიჭისა და ღვთისკაცის ნიჭისა და გონების ნაშუქს მივეახლოთ, გავიხსენოთ ისტორიული კატაკლიზმებით აღსავსე ის მძიმე ეპოქა, როცა ილიამ ერის წინამძღოლის ფუნქცია იკისრა, ბევრი ჭირითმენის ფასად შეძლო გარუსებისა და გადავიშების საფრთხისაგან დაეცავით, სულიერი და ზნეობრივი სრულქმნილების გზაზე შეეყენებინეთ. გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი ერის თანამდევმა უკვდავმა სულმა ილია ჭავჭავაძისა გვიჩვენა მამულიშვილსა და სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობლობის ზვარაკად შეწირული გმირის ბრწყინვალე მაგალითი.

როგორც არასდროს, ისე გვჭირდება ილიას შემოქმედების შესწავლა, იმ ზოგადსაკაცობრიო იდეალების გათავისება, რომ გვიყვარდეს ერთმანეთი, ვიყოთ ტოლერანტულები, მიმტევებლები, ქრისტეს მცნების მიმყოლნი და დავიცვათ წინაპართაგან ნაანდერძევი სამი საუნჯე – მამული, ენა, სარწმუნოება.“–აღნიშნა გამომსვლელმა თავის სიტყვაში.

ღონისძიება **მარი ჭაკნელიძის** და ნინო ტულუშის წმინდა ილია მართლის ლოცვით დაიწყო, რომელსაც თომა ჭკუასელის მიერ საუკეთესოდ წაკითხული ნაწყვეტი „მზავრის წერილიდან“ მოჰყვა.

„ბაზალეთის ტბა,“ „მარად და ყველგან,“ „ჩემო კალამო,“,„დედავ ღვთისა,“,„ქართველის დედა,“,„ბედნიერი ერი“ და კიდევ რამდენიმე თემა წარმოადგინეს **ნატა ბოლქვაძემ, ლევან ჯაბუამ, გიორგი ხითარიშვილმა, მაგდა ცირდავამ, ლანა მიშველაძემ, ქეთი ჯუმუშაძემ, თამარ მერაბიშვილმა, ქრისტინა მაკარიძემ, ლუკა ასანიძემ, ანნო გოთუამ** ..შემდეგ მოსწავლეებმა ინსცენირება წარმოადგინეს „კაცია ადამიანიდან.“ლიტერატურული საღამო მუსიკალურად გაფორმა ნინო ჩხაიძის მეჩონგურე მოსწავლეთა ანსამბლმა.

ღონისძიების მეორე ნაწილში სკოლის პედაგოგებმა მცირე კონფერენცია გამართეს. თემები: „გზა ერისკაცობიდან გოლგოთისაკენ,“ „ილიას ჟურნალისტური მოღვაწეობა,“ „დიდი სიყვარულის ფურცლები,“ „ილია, როგორც ისტორიკოსი,“,„პეტერბურგის უნივერსიტეტის კედლებში,“,„განდეგილი“–ეპოქალური ნაწარმოები,“,„ილია და ქართველოლოგები,“ „წიწამურში რომ მოკლეს ილია,“– წაიკითხეს პედაგოგებმა **რ. ბაქანიძემ, მ. ნაკაიძემ, ნ. სამხარაძემ, მ. მარტიშვილმა, რ. ცეცხლაძემ, ნ. კვაჭანტირაძემ, ზ. მეკვანაძემ.** მოხსენებების პარალელურად მოსწავლეებმა ლ. ჩხაიძე ა. მაისურაძემ, ა. აფარიანმა, მ. გაგუამ გაამრავალფეროვნეს ღონისძიება. თამარ კირკიტაძემ ილიასადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა.

ლიტერატურული საღამოს მონაწილეებს მიესალმა თავისუფალი პროფკავშირების ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე როზა გოგუაძე და სამახსოვრო საჩუქარიც გადასცა.

საღამო ილიას ტექსტზე შექმნილი სიმღერით „ჩემო კარგი ქვეყანავ“ დაგვირგვინდა.

ბეგლარ სიორიძე: თუ ვინმე მიიჩნევს, რომ დასაბუთებული ბრალდება აქვს ჩვენი მისამართით, შეუძლია მიმართოს შესაბამის უწყებებს, ჩვენ კი განვაგრძობთ მოქალაქეებზე ზრუნვას, რაც ჩვენი უპირველესი პასუხისმგებლობაა

30 ოქტომბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატმა „ქართული ოცნებიდან“ ბეგლარ სიორიძემ, „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბში, ადგილობრივი და ცენტრალური მედიისათვის პრესკონფერენცია გამართა.

პრესკონფერენციის დასაწყისში **ბეგლარ სიორიძემ** განაცხადა, რომ უამრავი ჭორი გავრცელდა და ვრცელდება იმის შესახებ, თუ რას აპირებს „ოცნების“ ანუ სახელისუფლებო კანდიდატი. ერთხელ და სამუდამოდ რომ დასრულდეს ეს მითქმა-მოთქმა, ამიტომ გადაწყვიტა პრესკონფერენციის გამართვა:

„როგორც იცით, ჩვენთან, ოზურგეთში იმართება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური. დიდი მადლობა უკლებლივ ყველა ოზურგეთელს, ვინც არჩევნებზე მოვიდა და მოქალაქეობრივი ვალი პირნათლად მოიხადა. ასევე, განსაკუთრებული მადლობა იმ ამომრჩეველებს, ვინც მე დამიჭირა მხარი და ნდობა გამომიცხადა. მე, ჩემს გუნდთან ერთად, არჩევნების პირველი ტურის მსგავსად, მეორე ტურშიც ჩვეული შემართებით და, რაც მთავარია, ღირსეული წესებით გავაგრძელებ ბრძოლას და დამაჯერებელ გამარჯვებას მივაღწევთ. ჩვენ აუცილებლად განვახორციელებთ ყველა იმ გეგმას, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებისკენ არის მიმართული. შემუშავებული გვაქვს არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი ჩვენი ქალაქისა და სოფლების ინფრასტრუქტურის განვითარების, სოციალური პირობების გაუმჯობესების, დასაქმებისა თუ სხვა აქტუალური სფეროების მიმართულებით და თითოეული ამ ნაბიჯის გადადგმისთვის ჩვენ გვაქვს ცენტრალური ხელისუფლების დიდი მხარდაჭერა, რასაც მოკლებულია ყველა არასახელისუფლებო კანდიდატი. ჩემი დაპირებები არასდროს დარჩენილა დაპირებებად და არც მომავალში ვაპირებ, რომელიმე ოზურგეთელთან სიტყვა გავტეხო. უკვე მოძველდა და სიახლეს აღარ წარმოადგენს ჩემი ოპონენტების მხრიდან მრავალი უსაფუძვლო ბრალდება, ჭორი და ცილისწამება. ამიტომ აღარ ვაპირებ განმარტება გავაკეთო რომელიმე მათგანზე. თუ ვინმე მიიჩნევს, რომ დასაბუთებული ბრალდება აქვს, შეუძლია მიმართოს შესაბამის უწყებებს, ჩვენ კი განვაგრძობთ მოქალაქეებზე ზრუნვას, რაც ჩვენი უპირველესი პასუხისმგებლობაა. ჩვენი ქალაქი უნდა გახდეს კეთილმოწყობილი და განვითარებული. ჩვენი სოფლები უნდა გაძლიერდეს და ეკონომიკურად წელში გაიმართოს. ადამიანები უნდა დასაქმდნენ და საერთო ჯამში, ოზურგეთს უნდა ჰქონდეს ძლიერი თვითმმართველობა. თვითმმართველობა საყრდენი და საიმედო უნდა იყოს თითოეული მოქალაქისთვის. ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ და ჩვენი მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისთვის შრომას ყველანი ერთად ჩვენს ოზურგეთელებთან ერთად გავაგრძელებთ.“

შემდეგ ქალაქის მერობის კანდიდატმა უპასუხა ჟურნალისთა შეკითხვებს:

— ბატონო ბეგი, ჩამოვა თუ არა ვანო ჩხარტიშვილი თქვენს მხარდასაჭერად მეორე ტურში? (ვლადიმერ მენაბდე — „გურიის მოაამბე“, „რუსთავი-2“)

— არ ვაპირებ თქვენს შეკითხვებზე პასუხის გაცემას, ბატონო ვლადიმერ, იმიტომ, რომ, ეჭვის დონეზე კი არ გეუბნებით, ნამდვილად წარმოადგენთ უშუალოდ მხარეს, ამიტომ არასერიოზულ შეკითხვებზე არ გიპასუხებთ.

— თქვენ გააკეთეთ განცხადება, რომ თვით გაერთიანებული ბოროტებაც კი ვერ ახერხებს დაამარცხოს სიმართლე, ვერ ერევა სიმართლეს. თუ შეიძლება დაგვიკონკრეტეთ, რას გულისხმობდით? (მარინა ჩიხლაძე — „გურია ნიუსი“)

— დიდი მადლობა შეკითხვისათვის. ამ განცხადებას მოჰყვა ასევე ჭორის დონეზე გავრცელებული ინფორმაციები სხვადასხვა სააგენტოებიდან. ეს არანაირად არ ეხება ამომრჩეველს, არანაირად არ ეხება თუნდაც ოპოზიციას. ვინც კარგად კითხულობს, წამკითხავი წაიკითხავს და კარგად გაიგებს, აქ საუბარია იმაზე, რომ ბოროტება არათუ ოზურგეთში, მთელი დედამიწის მასშტაბით რომ გაერთიანდეს, სიმართლეს ვერასდროს დაჩაგრავს, ამიტომ, ამის უკან იგულისხმება არაერთი ბოროტება. ზუსტადაც ბოროტება ჰქვია და სხვა არაფერი, როცა ვრცელდება ბინძური ინფორმაციები. უამრავიდან ერთ-ერთ ასეთ მაგალითს მოგიყვანთ: თურმე ბეგლარ სიორიძის შტაბი არჩევნების წინა ღამეს არიგებდა ნარკოტიკებს. ამიტომ, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რამდენი ბოროტებაც არ უნდა გაერთიანდეს, სიმართლე გაიმარჯვებს აუცილებლად და ეს სიმართლე დამტკიცდება ზუსტად მეორე ტურის შედეგების დროს.

— ეს ერთმა კონკრეტულმა ადამიანმა თქვა, ბატონო ბეგი და არა იმან, გაერთიანებულმა ძალებმა (ვლადიმერ მენაბდე).

— ოპონენტების ბრალდებებზე საუბრობდით მე პირადად არ ვიცი, რა ბრალდებებზეა საუბარი და ხომ ვერ გვეტყვით, ვისთან რა პრობლემა იყო? (დარეჯან ჩხიკვაძე — **TV** „იმედი“)

— ოპონენტების მხრიდან რა ბრალდება იყო? მაგალითად, როგორც, უკვე ვთქვი, განცხადება გაავრცელეს, რომ არჩევნების წინა ღამეს რომ ჩვენი შტაბიდან ნარკოტიკული ნივთიერებები გაიცემოდა.

— ბატონო ბეგი, პირველ ტურში იყო შემთხვევა, როცა თქვენი ოპონენტები გადანაშაულებდნენ სახელმწიფო რესურსების გამოყენებაში კვლავაც რომ არ მოხდეს ამ თემაზე აპელირება, რამდენად მკაცრად გააკონტროლებთ ამ საკითხს, რომ ვინმეს ისევ არ მიეცეს სათქმელი სახელისუფლებო რესურსის გამოყენებაზე? (თეა აბსარიძე, საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხი)

— მე არ მინდა დღეს ვისაუბრო ჩემს ოპონენტებზე, მე ვისაუბრებ იმასთან დაკავშირებით, რა გავაკეთეთ და რის გაკეთებას ვაპირებთ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ამჯერად მეორე ტურში. თუმცა, რახან შემეკითხეთ, გიპასუხებთ აუცილებლად, რომ ეს ადამიანები თავად ჩადიოდნენ იმას, რასაც ჩვენ გვაბრალებდნენ, და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მეორე ტურში მსგავს ფაქტებს ადგილი არ ექნება. ჩვენ მივიღებთ ყველა ზომას ამისათვის. სახელისუფლებო რესურსი არავის გამოუყენებია, ამის ვერც ერთ მაგალითს ვერავინ მოიყვანს, თუკი არსებობს ასეთი ფაქტი, შეუძლიათ მიმართონ შესაბამის ორგანოებს.

— გასაგებია, მაგრამ ჩვენ არ ვიცით ადრესატი, ვინ არის მეორე მხარე, რომელსაც კომენტარი უნდა გავაკეთებინოთ, თავს შეიკავებთ კონკრეტული გვარების დასახელებისაგან თუ... (თეა აბსარიძე)

— სახელისა და გვარის დასახელებისაგან თავს შევიკავებ ნამდვილად, იმიტომ, რომ არ ვთვლი საჭიროდ, მას ვერ მივიჩნევ ღირსეულ ოპონენტად. ყველასთვის ისედაც გასაგებია, შეგიძლიათ მიხვიდეთ და მიმართოთ.

ყველას დიდი მადლობას გიხდით პრესკონფერენციაზე მობრძანებისთვის

თვითმმართველობა და ხალხი

რა პრიორიტეტებს თავაზობენ ოზურგეთელები ახალაჩეულ საკრებულოსა და გაერთიანებული მუნიციპალიტეტის მერს, რომლის ვინაობა თვითმმართველობის მეორე ტურში, 12 ნოემბერს გახდება ცნობილი.

ჯემალ ბოლქვაძე, სოფ. მთისპირი, მძღოლი: - ოზურგეთი-მთისპირი-ვანისქედის ხაზზე ვმუშაობ. ამდენად უფრო ხშირად ვხედავ, რას ფიქრობენ ჩემი თანასოფლელები. წყალი გვაქვს, ფამფალეთი-მთისპირის გზის მშენებლობა მომავალ წელს გაგრძელდება, მაგრამ მისახედია შიდა გზები. მთისპირელები ასევე ვითხოვთ ბუნებრივი აირის შეყვანას სოფელში.



რევაზ ცერცვაძე, სოფელი ლიხაური: პოლიტიკა ჩემი საქმე არ არის, მაგრამ, პირველ რიგში, გაჭირვებულ ხალხს უნდა დაეხმაროთ. მაგათ, ძველსაც და ახალსაც, რომ წარმოუდგენიათ, იმაზე მეტად უჭირს ხალხს. ამიტომ, უპირველესად, ხალხს, მის სოციალურ მდგომარეობასა და ჯანმრთელობის დაცვას უნდა მოხედონ.



მურთაზ აბაშიძე, ქ. ოზურგეთი: ლოზუნგებით რომ მოდიან, თუ ტ.... აქვთ, ხალხი დაასაქმონ, დარგები აამუშაონ და ისე დაასაქმონ, თორემ დახლებს ქუჩაში თვითონაც დგამენ ლუკმაპურის საშოვნელად. ძველი იქნება თუ ახალი, ისე ნუ იზამს, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდეს და სიტუაცია უმართავი გახდეს

ნათია გოგუაძე, სოფ. სილაური, დიასახლისი: 5 შვილის დედა ვარ, შვილიშვილები მყავს უკვე. პრობლემას რა დალევს სოფელში. წყალი არ გვაქვს, რაც მილები მოგვცეს, ძლიერი წვიმებისს დროს წარმოქმნილმა ღვარცოფმა წაგვართვა. ყანები მიაქვს სუფსას. დამცავი ჯებირებია გასაკეთებელი, შესაღობია. მთავარია, მშვიდობა და საქმის გაკეთების სურვილი იყოს. ფეხბურთის მოედანი უნდათ ბავშვებს. სოფელში ტაძარი გვაქვს, ახლა მისი მოხატვა მიმდინარეობს. სოფელში გროვდება ფული, მაგრამ არაა საკმარისი. იქნებ დაგვეხმაროს. სულიერება ამაღლებს ადამიანს და პრობლემის დაძლევა უფრო იოლი ხდება. პირადად მე, როგორც მრავალშვილიანს, მეხმარებიან და მადლობელი ვარ. დაპირისპირება შეინიშნება და ეს არ მომწონს. თუ ერთობა იქნება, ყველაფერს ეშველება.

ქეთი ჩხიკვაძე და ნათია კვირკველია, სოფელი ბახვი: ამ არჩევნებმა ხალხი ერთმანეთს გადაკიდა. ამ ძიძგილაობას საქმე აკეთონ, სჯობს. ბახვი დიდი ისტორიული სოფელია, ცენტრალური გზები წესრიგშია, მაგრამ საუბნო, შიდა გზებია ისეთ დღეში, ბევრ ადგილას ვერც მანქანით გაივლით და ვერც ფეხით. საერთოდ, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე უნდა გააკეთონ აქცენტი.



არჩილ კილურაძე, მძღოლი, სოფელი ცხემლისხიდი: თუ რამე სასიკეთოს გააკეთებენ, მივესალმებით. უსახსრობის გამო ხალხს თვიდან თვემდე თავი ძლივს გააქვთ. დასაქმების პრობლემის მოგვარებაა ალბათ უპირველესი.

ჟუჟუნა ცეცხლაძე: მატლები და მწერები რომ გვჭამენ, ამას მიაქციონ ყურადღება. ასეთ ზერელე დამოკიდებულებას არ მოქვს შედეგი. ერთმანეთის ლანძღვას შეეშვან და ხალხს მოათქმიონ სული. დაგვეხმარონ იმაში, რომ დარეგულირდეს თხილის ფასები, ჩვენი მარჩენალი თხილია, სხვა შემოსავალი არაფერი გვაქვს. თხილს და ჩალას ერთნაირი ფასი არ უნდა ჰქონდეს.

ირმა კილურაძე: ჩემი აზრით, ყველაზე საგანგაშო ის არის, რომ ახალგაზრდობა ტოვებს სოფელსა და რაიონს. ახალგაზრდების დასაქმებაა აუცილებელი, საამისოდ კი დარგების აღდგება, ფაბრიკა-ქარხნებია საჭირო და არა ყველა ნაბიჯში სოკოებივით მომრავლებული „ბუტკები“.

აგროკლიმატური რისკები და მოსავალი სუბტროპიკულ ზონაში

უკანასკნელი 20-25 წლის მანძილზე დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში არ აღნიშნულა დიდთოვლიანობა და კატასტროფული ყინვები, თუმცა გლობალური კლიმატური ცვლილებების ფონზე რბილი ზამთრის, ცივი გაზაფხულისა და ცხელი, გვალვიანი ზაფხულის პირობებში მოსავლიანობა ყოველწლიურად მცირდება.

სუბტროპიკულ კულტურათა ინტენსიური ტექნოლოგიების დამუშავებისა და ათვისების პროცესში მაქსიმალური მოსავალი მოსალოდნელია მხოლოდ მაშინ, თუ კულტურის აგროტექნიკა და ჯიშობრივი შემადგენლობა ყოველი კონკრეტული მიკროეკოლოგიური ზონისათვის ბუნებრივი პირობების შესაბამისადაა კორექტირებული.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა პროგრამული მოსავლის მისაღებად ფერმერულ და გლეხურ მეურნეობებში აუცილებელია განხორციელდეს ურთიერთდაკავშირებული აგროტექნიკური, მელიორაციული და სამეურნეო ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს ნიადაგურ-კლიმატური პოტენციალის, ჯიშის ეკოლოგიურ-გენეტიკური შესაძლებლობების, შრომითი და მატერიალური რესურსების რაციონალურ გამოყენებას.

ფერმერებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ სუბტროპიკული კულტურების ზრდა-განვითარება და სტაბილური მოსავლიანობა კანონზომიერ კავშირშია ისეთ მნიშვნელოვან მეტეოროლოგიურ ფაქტორებთან, როგორიცა: ზამთრის კრიტიკული ტემპერატურები, ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა, აქტიურ ტემპერატურათა ჯამი, ნალექების წლიური რაოდენობა და მათი განაწილების კანონზომიერება, საგაზაფხულო წაყინვების პერიოდულობა, ნიადაგის სითბური რეჟიმი, გვალვები, ცივი და ცხელი ქარების ზემოქმედების ხასიათი და სხვა.

სუბტროპიკული მემცენარეობის დარგში მრავალწლიანი სამეცნიერო და საწარმოო ხასიათის გამოკვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ მოსავლიანობის სტაბილურობის მიხედვით საქართველოს სუბტროპიკებში ჩაის კულტურას ალტერნატივა არ გააჩნია. ჩაის კულტურის მოსავლიანობის სტაბილურობა ძირითადად მცენარის ბიოლოგიური თავისებურებითა და ნედლეულის მოხმარების ხასიათით უნდა აიხსნას. ძირითადი მოსავალი ჩაის ნედლი ყლორტები და ნაზი დუყებია, რომლებიც ნაკლებად განიცდის არახელსაყრელი კლიმატური ფაქტორების ზემოქმედებას. რაც შეეხება სუბტროპიკულ ხეხილოვან კულტურებს, აქ მოსავლიანობის განმსაზღვრელი მაჩვენებელი ნაყოფია, ხოლო ნაყოფის ფორმირება პირდაპირ კავშირშია მცენარის გენერაციული ციკლის (ბუტონიზაცია, ყვავილობა, გამონასკვნა) წარმართვისათვის აუცილებელი მეტეოროლოგიური ფაქტორების ოპტიმიზაციასთან.

ჩვენი მრავალწლიანი დაკვირვებების საფუძველზე დადასტურებულია, რომ მკაცრი თოვლიანი ზამთრის შემდეგ, როდესაც მცენარეთა ვეგეტაცია იგვიანებს და იგი აპრილის მეორე დეკადიდან იწყება, საგაზაფხულო წაყინვებისაგან მიყენებული ზარალი უმნიშვნელოა, ხოლო რბილი ზამთრისა და ნაადრევი ვეგეტაციის პირობებში, როდესაც

თებერვლის მესამე დეკადა-მარტისა და აპრილის თვეში ფაქტობრივად მცენარეები ვეგეტაციისა და გენერაციის აქტიურ ფაზაშია შესული, საგაზაფხულო წაყინვებისაგან მიყენებული ზარალი დიდია. ყოფილა შემთხვევები, როდესაც საგაზაფხულო წაყინვებს მაისის პირველ დეკადაშიც გადაუნაცვლებია, რასაც ჩაის ახალგაზრდა დუყები, ვაზისა და ხეხილივანთა ნაზი ყლორტები და საყვავილე ბუტონები გაუნადგურებია.

როგორც ცნობილია საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში ყველაზე საშიშ მოვლენას ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჭრილი ცივი ჰაერის მასების ხანგრძლივი ზემოქმედება წარმოადგენს (1949, 1969, 1985,1992), თუმცა უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ასეთი ხანგრძლივი ცივი მასების შემოჭრა არ აღრიცხულა, თუ არ ჩავთვლით 2008 წლის 16-17 იანვარს, როდესაც ჩრდილო-დასავლეთიდან შემოიჭრა ხანმოკლე ცივი მასები, რომელმაც ლოკალურად მხოლოდ კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა რაიონში გამოიწვია დიდთოვლიანობა და ანომალიური მოვლენაც კი — გაიყინა პალიასტომის ტბა, თუმცა ცივი მასების ზემოქმედება არ გასცილებია ფოთიყულევის საზღვრებს. დანარჩენ რეგიონებში სუბტროპიკული კულტურები არ გაყინულა და დაზიანებულა.

გავიხსენოთ 2013 წლის დეკემბრის პირველი ნახევარი, რომელიც მეტად ცივი და ნალექიანი გამოდგა. 3-5 დეკემბერს სუბტროპიკულ ზონაში თოვლი მოვიდა, ტემპერატურ-30-50-მდე დაეცა, რამაც დიდი ზარალი მიაყენა ჯერ კიდევ დაუკრეფავ ციტრუსების ნაყოფებს. ნაყოფთან ერთად დაზიანდა მცენარის ახალგაზრდა ყლორტები და ფოთლები. დეკემბრის მეორე ნახევრიდან იანვრის ბოლომდე ამინდები შედარებით რბილი, თოვლისა და ყინვის გარეშე აღირიცხა. განსაკუთრებით დათბა 2014 წლის თებერვალში, რამაც გამოიწვია კურკოვანი და თესლოვანი კულტურების ვეგეტაციის პროვოცირება. მარტის თვის პირველი და მესამე დეკადა სუსხიანი და ნალექიანი იყო, მესამე დეკადის დასასრულს 29-30 მარტს სუბტროპიკულ ზონაში (აჭარა, გურია, სამეგრელო) თოვლი მოვიდა (10-30სმ). ტემპერატურა -20-40-მდე დაეცა. თოვლმა და დაბალმა ტემპერატურამ დაზიანა მოყვავილე მცენარეები, განსაკუთრებით დაზიანდა აქტინიდიის (კივი) და თხილის ახალგაზრდა სანაყოფე ყლორტები.

გლობალური დათბობის ერთ-ერთ უარყოფით ფაქტორად უნდა ჩაითვალოს 2014 წლის 4-5 ივნისს დასავლეთ საქართველოში განვითარებული ძლიერი ცხელი ქარიშხალი. სტიქიის ზონად გურიის რეგიონი გამოცხადდა. სტიქიამ დაზიანა ნაგებობები, დაამსხვრია ხე-მცენარეები, იყო მსხვერპლი. ძლიერმა ქარიშხალმა ჩამოყარა თხილის, ხეხილოვნებისა და კურკოვნების უმწიფარი ნაყოფები, დაამტვრია აქტინიდიის, ვაზის ყლორტები, გაანადგურა ბოსტნეული. ამავე წლის ივნისის მეორე ნახევრიდან, ივლისისა და აგვისტოს პირველი ნახევარი სუბტროპიკული ზონისთვის უჩვეულო მაღალი ტემპერატურებითა და ტენის დეფიციტით აღინიშნა. ტემპერატურამ პიკს 11-12 ივლისს მიაღწია, როდესაც თერმომეტრი ჩრდილში 420-430, ხოლო მზეზე 530-540 უჩვენებდა. მაღალმა ტემპერატურამ და მზის პირდაპირმა სხივებმა დაწვა მცენარეთა ფოთლები, ნაყოფები. მაღალ ტემპერატურას თან დაერთო ნიადაგში ტენის დეფიციტი. განსაკუთრებით ფერდობ ადგილებზე გაშენებულ სუბტროპიკულ ხეხილოვან კულტურებში (ციტრუსები, აქტინიდია, თხილი, ფეიხოა და სხვა)

ნიადაგში ტენის დეფიციტის გამო აღინიშნა ნაყოფების მასიური ცვენა, ფოთლებისა და ახალგაზრდა ყლორტების ჭკნობა. ადგილი ჰქონდა ახალგაზრდა ნარგაობაში მცენარეთა მთლიან ხმობას.

ნოემბრის მესამე დეკადაში უხვნალექიანობასთან ერთად ზოგიერთ ადგილებში (აჭარა, გურია) აღინიშნა სეტყვა, რამაც დაზიანა ციტრუსოვანთა ნაყოფები, თუმცა სადაზღვევო კომპანიებმა ნაწილობრივ კომპენსირება გაუკეთეს დაზარალებულ ფერმერებს.

ამრიგად, 2014 წლის სავეგეტაციო პერიოდი თავისი კლიმატური მაჩვენებლებით ძალზე არახელსაყრელი აღმოჩნდა სუბტროპიკულ რეგიონში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარებისა და მოსავლიანობისათვის. ჩვენი წინასწარი გათვლებით მრავალწლიან საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით, ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორთა გამო მოსავლიანობა შემცირდა: თხილის კულტურაში 30-40%-ით; ციტრუსებში 25-30%-ით; აქტინიდია 70-80%-ით; ფეიხოა 40-50%-ით; ხეხილოვნები 30-40%-ით; ვაზი 60-70%-ით; ბოსტნეული 60-70%-ით; მარცვლეული (სიმინდი) 20-30%-ით; ჩაი 15-20%-ით.

კიდევ უფრო არამდგრადი გამოდგა 2015 წლის სავეგეტაციო პერიოდი. უთოვლო და რბილი ზამთრის შემდეგ ძალზე ცივი და სუსხიანი აღმოჩნდა მარტი-აპრილი, მაისი და ივნისის თვე. ეს ის პერიოდია, როდესაც მრავალწლიანი სუბტროპიკული კულტურები ბუტონიზაციის, ყვავილობისა და გამონასკვის ფაზაში იმყოფებიან. მკაცრმა კლიმატურმა პირობებმა მთლიანად გაანადგურა ხეხილოვანი კულტურების ყვავილები და ნასკვები, სუბტროპიკული კულტურებიდან თითქმის უნაყოფოდ დარჩნენ აქტინიდიის, ფეიჰოას ნარგავები, რაც შეეხება თხილს, მან შეინარჩუნა მდგრადობა და მოსავლიანობა, თუმცა ნესტიანმა და ცივმა კლიმატმა ხელი შეუწყო ნაყოფებზე სოკოვანი დაავადებების განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ციტრუსოვანი კულტურები გვიან მოყვავილე მცენარეებად ითვლება, ადგილი ჰქონდა ყვავილების და ნასკვების მასიურ ცვენას.

ამავე წელს დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკებში თითქმის ოთხთვიანი ცუდი კლიმატური პირობების შემდეგ, ივლისის მეორე დეკადიდან გამოიდარა. ამ პერიოდიდან მთელი ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის განმავლობაში დღისით ჰაერის ტემპერატურა 320-360, ხოლო ღამით 220-280-ის ფარგლებში მერყეობდა. 18-20 აგვისტოს ტემპერატურამ ჩრდილში 400, ხოლო მზეზე 430-440-მდე მიაღწია. ამერიკული ოკეანოლოგიური კვლევების ინსტიტუტის მონაცემებით 2015 წლის ივლისი ტემპერატურული დაკვირვებების ისტორიაში ყველაზე ცხელი თვე იყო. ტემპერატურა რეკორდულ მაჩვენებლებზე ავიდა როგორც ხმელეთზე, ისე ოკეანეში. ივლისსა და აგვისტოში ანომალიური სიცხე დაფიქსირდა ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში, სიცხისაგან ასობით ადამიანი გარდაიცვალა, განადგურდა სასოფლო სამეურნეო კულტურები.

ხანგრძლივმა გვალვებმა ნიადაგში შექმნა ტენის მნიშვნელოვანი დეფიციტი. ივლისში, აგვისტოსა და სექტემბრის თვეში ნაცვლად მრავალწლიანი საშუალო — 600-700მმ ნალექებისა ფაქტიურად მოვიდა 100-150მმ, ისიც მხოლოდ ორ დღეს (6 და 23 აგვისტოს) თქეშის სახით. გორაკ-ბორცვიან ადგილებში გაშენებული ერთწლიანი მარცვლოვანი (სიმინდი) და ბოსტნეული კულტურები მთლიანად განადგურდა, გაუჭირდა მრავალწლიან კულტურებს.

გვალვები და ცხელი ტემპერატურა დაემთხვა თხილის მოსავლის აღებას. ნაყოფმა ვერ მოასწრო სრულყოფილი მომწიფება, რის გამოც მოსავლის დიდი ნაწილი დაიკარგა. ციტრუსოვან კულტურებზე ტენის დეფიციტის გამო განვითარდა წვრილი ნაყოფები, შეიმჩნეოდა ნაყოფების მასიური ცვენა.

თუ კი გასული 2013-2015 წლების სავეგეტაციო პერიოდი სუბტროპიკულ ზონაში გამოირჩეოდა ცხელი კლიმატითა და გვალვებით - 2016 წელი კი პირიქით , უხვი ნალექებით, დაბალი ტემპერატურებითა და მაღალი ტენიანობით , რამაც ნეგატიური გავლენა იქონია სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ზრდა-განვითარებაზე და მოსავლიანობაზე.

კიდევ უფრო მძიმე გამოდგა 2017 წელი. 28-31 იანვარს დასავლეთ საქართველოში აღინიშნა ინტენსიური თოვა, ქარბუქი. ღამით აბსოლუტურმა მინიმუმმა -60-80 მიაღწია. ზოგიერთ წერტილებში ტემპერატურა -100-მდე დაეცა. შავი ზღვის სანაპიროს ზოლში დაზიანდა ლიმონისა და ფორთოხლის ნარგაობა. ამავე წელს სუბტროპიკულ ზონაში აღინიშნა საგაზაფხულო წაყინვები. მარტი-აპრილის თვეში ღამით ტემპერატურა -20-30-მდე დაეცა, რამაც გაანადგურა მოყვავილე ხეხილოვანი კულტურები, ასევე დაზიანდა აქტინიდიის, ვაზის ახალგაზრდა ყლორტები, ჩაის ახლად წამოსული ნაზი დუყები.

2017 წლის სავეგეტაციო პერიოდში უხვნალექიანი გამოდგა მაისის, ივნისის, ივლისის თვეები. ამ პერიოდში მასიურად შეინიშნებოდა მავნებელ-დაავადებათა გააქტიურება ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე და განსაკუთრებით თხილზე. მაღალი ტენიანობის გამო გაჩნდა ნაყოფების, ფოთლებისა და ყლორტების ნაცრისფერი სილაქავე, სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებები. ეს პროცესი კიდევ უფრო დაამძიმა მავნებელი აზიური ფაროსანას მასიურმა განვითარებამ, რომელმაც დასავლეთ საქართველოში ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურას (თხილი, ციტრუსი, ხურმა, სხვა ხეხილოვნები, მარცვლეული, ბოსტნეული) კატასტროფული ზიანი მიაყენა. მიუხედავად სახელმწიფოსა და კერძო კომპანიების მიერ ჩატარებული ბრძოლის ღონისძიებებისა აზიური ფაროსანა და სხვა მავნებელ დაავადებათა მიერ თხილის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები 70-80%-ით შემცირდა. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა კულტურებშიც.

თუ წლის პირველი ნახევარი უხვნალექიანობით გამოირჩეოდა, მეორე ნახევარი (აგვისტო-სექტემბერი) ძლიერი გვალვებითა და მაღალი ტემპერატურებით აღინიშნა. მთიან აჭარაში 100 დღის განმავლობაში წვეთი წვიმა არ ჩამოვარდნილა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ხანგრძლივი გვალვები და ხანძრების მთელი სერია დაფიქსირდა.

რაც შეეხება ჩაის კულტურას, ჩამონათვალში ის ერთადერთია, რომელიც ყველა კულტურისაგან განსხვავებით გამძლეა ეკოლოგიური რისკების მიმართ. სამწუხაროა, როდესაც ასეთი ეკოლოგიური სიტუაციების ფონზე ამ კულტურას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა, არადა ეკოსისტემა კიდევ უფრო დაძაბული და მკაცრი გახდება. როგორც მკვლევარ სპეციალისტები ვარაუდობენ გლობალური კლიმატური ცვლილებების ფონზე მოსალოდნელია შავი ზღვის აცივება, რაც გამოიწვევს დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში მრავალწლიანი საშუალო ტემპერატურის 2-3 გრადუსით შემცირებას, შესაბამისად შეიცვლება აბსოლუტური მინიმალური და მაქსიმალური ტემპერატურები, გამოიკვეთება უხვნალექიანი და გვალვიანი პერიოდები. ეს მომენტი საყურადღებო უნდა გახდეს ამ ზონაში დასაქმებული ფერმერებისათვის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ათვისების პროცესში კულტურათა სწორი შერჩევა-შეთანაწყობის მიზნით. ამასთან ფერმერულ მეურნეობებში ასეთი კლიმატური მაჩვენებლების საპასუხოდ, ფართოდ უნდა იყენებდნენ ხელოვნურ და ბუნებრივ მულჩს, მორწყვის სხვადასხვა სახეს, ნიადაგის ზედა ფენის ფხვიერ მდგომარეობაში შენარჩუნების აგროტექნიკურ ღონისძიებებს, ქარსაფარ ზოლებს ,განოყიერების რაციონალურ სისტემას და მავნებელ -დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე მეთოდებსა და საშუალებებს.

ამრიგად ბოლო ხუთი წლის კლიმატური პირობების დაწვრილებითმა ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში, სადაც გახშირდა ეკოლოგიური რისკები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ათვისება უნდა მოხდეს მხოლოდ მეცნიერულად შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე. ცვლილება უნდა მოხდეს ნიადაგის სრული მეცნიერული კვლევის საფუძველზე შემუშავებულ განოყიერების სისტემაში. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს შესატანი სასუქების ფორმებს, დოზებს, ვადებს. უნდა მოხდეს მინერალური სასუქების დოზების თანდათანობითი შემცირება და ორგანო-მინერალური სასუქების დოზების ზრდა, რათა თავიდან იქნეს აცილებული უხვი ნალექების შემთხვევაში გამორეცხვა, ხოლო გვალვების შემთხვევაში საკვები ელემენტების კონცენტრაციის ზრდა და ფესვთა სისტემის დაზიანება. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სიდერატების თესვას და ფართობების დამულჩვას, რათა შენარჩუნებული იქნას ნიადაგში ტენტევადობა. ნიადაგი უნდა მოვამზადოთ კლიმატთან შესაბამისობაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ კულტურათა სწორ დარაიონებას.

ყოველივე ზემოთაღნიშნულ საკითხებზე სრულყოფილი ინფორმაციის გაცემა მხოლოდ სოფლის-მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკის ცენტრ „ანასეულის“ (ოზურგეთი) ლაბორატორიას შეუძლია, ამავდროულად იგი უფლებამოსილია პრაქტიკული დახმარება გაუწიოს ფერმერებს მათთვის მტკივნეულ პრობლემებზე.

ზაურ გაბრიჩიძე,
სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი;
რუსუდან ტაკიძე,
სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიური დოქ-
ტორი, ოზურგეთი, ანასეული.

ოზურგეთის თეატრის შემაჯამებელი გასტროლი

ოზურგეთის თეატრი გასტროლით იმყოფებოდა ახალციხეში, დედაქალაქსა და ჩარგალში. საგასტროლო ტურნეზე ერთდროულად ხუთი სპექტაკლი წარედგინა მაყურებელს, შვიდი ჩვენებით და ეს ყველაფერი ხდებოდა 26-29 ოქტომბერს.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის **ვასო ჩიგოგიძის** შეფასებით ეს იყო ერთგვარი ანგარიში მაყურებლის და სათეატრო საზოგადოების წინაშე. ეს იყო განვლილი ოთხი წელიწადის შეფასება და სამომავლო მიმართულებების განსაზღვრაც.

ვასო ჩიგოგიძე: „ ჩვენ ვაჩვენეთ მაყურებელს რას ვაკეთებდით უახლოეს წლებში და საითკენ აქვს შემოქმედებითი გეზი აღებული ოზურგეთის თეატრს.

რაც შეეხება საგასტროლო რეპერტუარს, მოგეხსენებათ გურულების თეატრი ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების გარეშე წარმოუდგენელია. თანაც, მომავალ წელს მწერლის დაბადებიდან 90 წელი სრულდება, ამიტომაც რეპერტუარში ჩვენ საგანგებოდ შევიტანეთ მისი ნაწარმოებები. გასტროლი დავიწყეთ მაესტრო გიზო ჟორდანიას უკანასკნელი სპექტაკლით „ბოშებით“და, რაღა თქმა უნდა, ეს სპექტაკლი მის ხსოვნასაც ეძღვნება. ნიშანდობლივია, რომ ბატონმა გიზომ გურიას, თავის ადგილის დედას მიუძღვნა ოდა, აჩვენა გურიისადმი თავისი ფაქიზი სიყვარული. ამიტომაც გაახვავრიელა მან დუმბაძე გალაკტიონით. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და უღრმესი მადლობა მოზარდ მაყურებელთა თეატრს, ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს ბატონ დიმა ღვთისიაშვილს გულთბილი მიღებისათვის და თანადგომისათვის. სხვანაირად არც წარმოიდგენია დუმბაძის თეატრისა და გურულების ერთადერთი სახელმწიფო თეატრის ურთიერთობა. ასევე დიდი მადლობა ჩვენი თეატრის ყველა თანამშრომელს, საკმაოდ დაძაბული რეჟიმის პირობებში მათ საუკეთესოდ წარმოადგინეს ჩვენი თეატრი. ახალციხეში „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“ (ლაშა თაბუკაშვილი, ვასო ჩიგოგიძე) ვაჩვენეთ ქართული დრამატურგიის მეოთხე საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში.

სამ ათეულ წელიწადზე მეტია ჩვენი თეატრი დედაქალაქში რამდენიმედღიანი გასტროლით არ ყოფილა. ეს იყო ძალიან საპასუხისმგებლო, ჩვენ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებლთა თეატრმა დაგვითმო დიდი და მცირე სცენა. მოხარული ვართ, რომ მაყურებელი და მათი ოვაციაც უხვად იყო, მიუხედავად იმისა, დედაქალაქში ფესტივალი „საჩუქარი“ მიმდინარეობდა პარალელეურად, ჩვენს გასტროლს სხვა ღონისძიებებიც დაემთხვა, შესაბამისად, ყველამ ვერ მოახერხა მოსვლა. “

„დარაბებს მიღმა გაზაფხულია“ დიდი სცენის გადაჭედილ დარბაზში მიმდინარეობდა. მაყურებელს შორის იყო დრამატურგი ლაშა თაბუკაშვილი.

ლაშა თაბუკაშვილი: „ - გაკვირვებული არ ვარ საკუთარი აღფრთოვანებით, ვიცი ვასო ჩიგოგიძის ტალანტი, ყმაწვილები, 23-24 წლის ვიყავით, როცა მან ბრწყინვალედ დადგა „ძველი ვალსი“ ზუგდიდის თეატრში. დადგმა რომ მშვენიერი იქნებოდა, დარწმუნებული ვიყავი, მაგრამ მსახიობები ასე ღრმად, ასე გულწრფელად თუ იმუშავებდნენ... თითქოს ამას გადავეჩვიეთ. დღეს მათ დამავიწყეს რომ ჩემი მდაწერილი იყო, მაინტერესებდა შემდეგ რა მოხდებოდა. იშვიათად ვყოფილვარ ასე კმაყოფილი“.

საგასტროლო რეპერტუარში იყო ვაჟა–ფშაველას მოთხრობების მიხედვით შექმნილი „ნეტავი დამბადებელო“ ბელა კიკვაძის მონოსპექტაკლი, რომელსაც დიდი მოწონება ხვდა წილად. ვაჟა ფშაველას სამყაროს ასეთი გადმოცემისთვის სპექტაკლს საუკეთესო შეფასება მისცა პოეტმა დავით შემოქმედელმა; ასევე ორმოცი წლის წინათ ძალიან პოპულარული და გახმაურებული ლაშა თაბუკაშვილის „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“, ამ ორივე სპექტაკლის რეჟისორი ვასილ ჩიგოგიძე გახლავთ, ახალგაზრდა რეჟისორის მამუკა बाბილოძის მიერ დადგმული პოლიკარპე კაკაბაძის პიესაზე „სამი ასული“, რომელიც დებიუტანტი რეჟისორის საყურადღებო ნამუშევარია. საგასტროლო წარმოდგენებში იყო ახალგაზრდა, ნიჭიერი ავტორის ზურა პაპიაშვილის პიესის მიხედვით ასევე ახალგაზრდა რეჟისორის ირაკლი გურგენიძის „თეფში“, რომლის პრემიერა სწორედ თბილისში შედეგა. პრემიერის გარშემო მაშინვე გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა. „თეფში“ ვასო ჩიგოგიძის ახალგაზრდული პროექტის შედეგია, რომლის ფარგლებშიც მომავალშიც ვიხილავთ საინტერესო ნამუშევრებს.

ზურა პაპიაშვილი: „ - გულწრფელად ვიტყვი, როდესაც პირველად შემატყობინეს რომ ჩემი პიესის (თეფშის) დადგმას აპირებდნენ ოზურგეთის თეატრში, თან ისეთი კარგი ადამიანი და კარგი რეჟისორი როგორიც ირაკლი გურგენიძეა, ძალიან გამიხარდა. გამიხარდა პირველ რიგში იმიტომ, რომ როგორც ყველა დრამატურგს ასევე მეც, ძალიან მახარებს ჩემი ტექსტების სცენაზე გაცოცხლება. მეორე იმიტომ, რომ ჩემი სურვილია, რასაც ვწერ და ვშრომობ ჩემი ქვეყნის ყველა კუთხეში იყოს გაზიარებული. მესამე იმიტომ რომ, რადგანაც პიესა სატირული ტექსტია, საინტერესო იქნებოდა გურული მსახიობების მიერ გათამაშებული სპექტაკლი. ორმაგად გახარებული ვარ, რომ ეს ასეც მოხდა. ერთი-ერთში ჩაჯდა ყველაფერი, მსახიობების პერსონაჟებზე მორგება იქნება ეს თუ ზოგადად სცენოგრაფია... დიდი მადლობა „მოზარდს“ კარგი მასპინძლობისთვის და ასევე უდიდესი მადლობა მაყურებელს, რომელთა გარეშეც არაფერი ვართ. მსახიობებისა და რეჟისორის პრეფესიონალიზმმა და თავდაუზოგავმა შრომამ, ამ ურთიერთობამ გამიჩინა სურვილი რომ კიდევ ბევრჯერ ვითანამშრომლო ამ ძალიან კარგ თეატრთან. ისევ და ისევ წარმატებები ოზურგეთის თეატრს!!!“

ირაკლი გურგენიძე, რეჟისორი: „ - მიხარია, რომ ოზურგეთის თეატრში მომიწია მუშაობა. მითუმეტეს, რომ ასეთი პატივი გვხვდა წილად და თეატრის 150-ე საიუბილეო სეზონის პირველი პრემიერა სწორედ ჩვენი სპექტაკლი აღმოჩნდა.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, ბატონ ვასო ჩიგოგიძეს და თეატრის დირექტორს, ბატონ ზაზა ჯინჭარაძეს, რომელთა ინიციატივითაც შედგა ეს თანამშრომლობა.

სპექტაკლზე დაახლოებით თვენახევარის მანძილზე ვიმუშავეთ. საინტერესოდ მიმდინარეობდა ყოველი სამუშაო დღე, იყო განსაკუთრებული შემოქმედებითი მუხტი და საინტერესო ძიებები. რისთვისაც

მადლობას ვუხდი ჩემს შემოქმედებით და ტექნიკურ ჯგუფს.

ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ოზურგეთის თეატრის უკლებლივ ყველა თანამშრომელს. ბედნიერი ვარ, რომ საშუალება მომეცა ურთიერთობა მქონოდა ამ გამორჩეულ ადამიანებთან, შემეძინა ასეთი მეგობრები და მეგრძნო ისეთი თბილი კოლექტივის მხარდაჭერა და კეთილგანწყობა, როგორიც ამ თეატრშია.

ალბათ ისიც გამართლებაა, რომ პირველივე საპრემიერო წარმოდგენა დედაქალაქში გავმართეთ და თბილისელ მაყურებელს წარვუდგინეთ ჩვენი ნამუშევარი. სპექტაკლმა მაყურებელთა სავსე დარბაზში, სრული ანშლაგით ჩაიარა, იყო ოვაციები, ტრადიციული მოლოცვები და კეთილი სურვილებიც.

ვთვლი, რომ პრემიერის შემდეგ სპექტაკლი მაყურებელს ეკუთვნის, იქნება ეს პროფესიონალი თეატრალები, თეატრმცოდნეები თუ უბრალოდ თეატრის მოყვარულები. შესაბამისად, შეფასებაც სწორედ მათი პრეროგატივაა.

რაც შემეხება მე, დიდხანს გამყვება გურულების მზრუნველობით და ყურადღებით გატარებული დღეების მოგონებები, ალბათ ცხოვრების ბოლომდე...

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი კი სამომავლო გეგმებზე ფიქრობს.

ვასო ჩიგოგიძე: „ გასტროლმა წარმატებით ჩაიარა, იყო საინტერესო შეხვედრები, დადებითი გამოხმაურებები თეატრმცოდნეებისაგან, თეატრალებისაგან. ხუთი სპექტაკლი მოზარდ მაყურებელთა თეატრში სამი დღის მანძილზე იყო წარმოდგენილ დიდსა და მცირე სცენებზე. ეს თეატრალური სეზონი ოზურგეთის თეატრისათვის საიუბილეო, 150-ე სეზონია და სიმართლე რომ ვთქვა, ეს საუკეთესო დასაწყისია ჩვენთვის. ვეცდებით დედაქალაქიდან წამოყოლილი მუხტიც შევინარჩუნოთ და ნამუშევრის შემოქმედებითი ხარისხიც, მეტიც, უკეთესი პროდუქციის შექმნას ვაპირებთ. თანაც, 2018 წელს გვექნება ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, ჩვენი 150 წლის იუბილე... ამ გზისკენ შრომითა და წარმატებებით ვაპირებთ სვლას და იმედი მაქვს ჩვენი მაყურებელიც ჩვენს გვერდით იქნება.“

ლია კილაძე,
საზოგადოებასთან ურთიერთობის
სამსახურის უფროსი



ჩემს ძმასა და უახლოეს მეგობარს ბატონ ნოდარ დონაძეს

ჩემი შეუძლოდ ყოფნის გამო, თავის დროზე ვერ მოვახერხე თქვენი სახელოვნად განვლილი 80 წლისთავის მოლოცვა, მაგრამ ახლა მაინც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ ამ ღირსეულ თარიღს.

თქვენს მიერ მართლაც ლამაზად განვლილი გზა ხასიათდებოდა პირადი უკეთილშობილესი თვისებებით – სიკეთის თესვით, სითბოთი და და საერთოდ საზოგადოებასთან ჯანსაღი დამოკიდებულებით. ხაზგასასმელია ის, რომ თქვენ ბრძანდებით არამარტო გურიაში, არამედ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მის ფარგლებს გარეთაც გამორჩეული, კოლორიტული პიროვნება, რომელმაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანეთ ჟურნალისტიკაში, პოეზიაში, ხელოვნებაში და ა. შ. თქვენმა ნაშრომმა „თხინვალი და თხინვალელები“, ბევრს აფიქრებინა ის, რომ მათაც წერონ თავიანთ სოფლებზე.

კვლავ გილოცავთ ღირსეულ თარიღს და თქვენს საყვარელ ოჯახთან ერთად გისურვებთ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.

გულწრფელი სიყვარულით, **ამირან მამულაიშვილი**

25-X-2017 წელი

„მე და ჩემი ოჯახი“ - ღია აქტივობა ლიხაურის საბავშვო ბაღში

ღია აქტივობაზე მეორე ცვლის აღმზრდელმა გურანდა ბერძენიშვილმა საღამოს წრეში მოკლედ შეაჯამა მთელი კვირის განმავლობაში განვლილი პროგრამული თემა „მე და ჩემი ოჯახი“. ისაუბრეს ოჯახზე, ტრადიციებზე, ოჯახის წევრებზე, საოჯახო დღესასწაულებზე, დაათვალიერეს საოჯახო ფოტო ალბომები. დახატეს, ჯგუფ „გვირილას“ აღსაზრდელებმა გამოძერწეს დედიკოები და მამიკოები.აქტივობა დასრულეს თითების ვარჯიშით და ლამაზი სიმღერით. აქტივობას ესწრებოდნენ ცენტრის მეთოდისტი ნაილი გრძელიძე, ანა გუჯაბიძე და გამგეობის განათლების განყოფილების უფროსი ქეთი

კვაჭანტირაძე მადლობა ჯგუფ"გვირილას" და ჩვენს სტუმრებს.

შეხვედრა ადგილობრივი აგროჟურნალისტებისათვის

ქ. თბილისში, კომპლექს „ლოლიტას“ საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა შეხვედრა აგროჟურნალისტიკაში. შეხვედრას „აგროჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის“ (**IFAJ**) წევრი და ამერიკულ-კანადური გამოცემის „**The Furrow**“ჟურნალისტი, სტივ უერბლოუ უძღვებოდა.

შეხვედრის მიზანი სოფლის მეურნეობაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკის სექტორში, კერძოდ აგროჟურნალისტიკაში, ადგილობრივი ჟურნალისტებისათვის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება იყო. აგროჟურნალისტიკის სექტორის განვითარება, კერძოდ, სოფლის მეურნეობის სფეროში ჩართული ყველა სექტორისა და მხარის წარმომადგენელთა შორის ინფორმაციის ინტენსიურად მიმოცვლა და მეტი კომუნიკაცია, საბოლოოდ, სოფლის მეურნეობის სფეროს გაძლიერებას ემსახურება.

სტივ უერბლოუმ აგროჟურნალისტიკის როლზე, აგროჟურნალისტთა ასოციაციის მნიშვნელობაზე და ფერმერთა უკეთესი ინფორმაციისათვის საჭირო მეთოდების შემუშავებაზე ისაუბრა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის, რეგიონული გამოცემების წარმომადგენლებმა აგროჟურნალისტიკის კუთხით მუშაობის გამოცდილება გააცნეს კოლეგებს, მათ შორის გურიიდან იყო საუბარი გაზეთ „ალიონის“ დამატების „გურული ვაზის“ და გაზეთ გურია ნიუსის– „ჩემი კარმიდამოს“ შესახებ.

სამუშაო შეხვედრის ორგანიზებას მხარი დაუჭირა პროექტმა „**MOLI** კახეთი,“ რომელიც ხორციელდება შვეიცარული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის „**NEKS/EPES**-ის სამხრეთ კავკასიის ოფისის მიერ,“ შვეიცარიის მთავრობის დაფინანსებით.

„მერცხალი“ მე-11 ადგილზეა

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის რეგიონლიგაში ოზურგეთის „მერცხალი“ 23-ე და 24-ე ტურში დამარცხდა. ჯერ ბაღდადში „საირმესთან“ 2:3, ხოლო შემდეგ–შინ, ჩოხატაურის „ბახმაროსთან“ 2:5. 25-ე ტურში „მერცხალი“ ზუგდიდში „ოდიში 1919“-2 შეხვდა. ამ გუნდს 23 შეხვედრიდან ყველა წაგებული ჰქონდა ასზე მეტი გაშვებული გოლით. ოზურგეთელებმა სძლიეს ზუგდიდელებს 5:4 და 3 ქულა მოიპოვეს. „მერცხალი“ 25 ქულით (7 მოგება, 4 ,ფრე, 14 წაგება) გათამაშების ცხრილში მე-11 ადგილზე იმყოფება.

რაც შეეხება ჩოხატაურის „ბახმაროს“, მან 24 ტურში ბათუმის“ „დინამო-2“ სძლია 4:0 და 59 ქულით (18 მოგება, 5 ფრე, 1 წაგება, ბ/შ 67:14) გათამაშებას ერთპირ-ოვნულად ლიდერობს. „მაჭახელას“ 57 ქულა აქვს, ხოლო „ლესიჭინეს“-51.

მიხეილ სალაძის საერთაშორისო ტურნირზე

28-30 ოქტომბერს თბილისში, ოლიმპიური რეზერვების ცენტრში გამართულ მიხეილ სალაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭიდაობის ლიდერმა ქვეყნებმა – რუსეთმა, აზერბაიჯანმა და სომხეთმა თავიანთი უძლიერესი ფალავნები მოავლინეს.

რაოდენ სასიხარულოა, რომ ასეთ მაღალი დონის ტურნირში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს საქართველოს ნაკრების სახელით მოასპარეზე ოზურგეთელმა მოჭიდაველებმა:

მძიმე წონაში მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა **კუკური ბარბაქაძემ**, რომელმაც მხოლოდ ფინლური შერკინება დათმო დაძაბულ ორთაბრძოლაში;

92 კილოგრამ წონით კატეგორიაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა **ცოტნე ცინცაძემ,** რომელიც ნოემბერში საქართველოს ნაკლების ღირსებას დაიცავს ირანის საერთაშორისო ტურნირზე;

51 კგ წონით კატერგორიაში კი ასევე მესამე იყო **გიორგი თოხაძე,** რომელმაც ჭიდაობის აღიარებულ სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა.

სკანვორდი



№ 42-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — გივი ახმეტელი რიცხვი — რვა; იდეა — არსი; ქალაქი რაჭაში — ონი; წყარი მდინარე — დონი; ელექტროტრანსპორტი — ტრამვაი; ებრაული სახელი — რებეკა; უნდობლობის წინაპირობა — ეჭვი; ღამის ფრინველი — ბუ; პატარა კაცი — ჩია; ნარდში მოგებული პლანეტა — მარსი; ჩიტი — სირი; რუსული ავტომობილი — ჩაიკა; ბულბულის საყვარელი ყვავილი — ვარდი; ცხენების ვეფხი — რემა; მხსნელი — მესია; ზღვაში ჩაედინება — მდინარე; ბუსუსი ქსოვილზე — ხაო; მდინარე შორეულ აღმოსავლეთში — ამური; განთიადი — აისი; ელექტროხელსაწყო — რელე; ყველაზე სექსუალური ანსამბლი — ვიაგრა; სულელი გურულად — აბდალი; გაზაფხულის ყვავილი — ენძელა; გამჭვირვალე ცა — ლაჟვარდი; გაზი — აირი; ხმის გამძახილი — ექო; ათი მანეთი — თუმანი; ერთგვარი კანფეტი — ირისი; ზიზიფუსი, ანუ ... — უნაბი კაკაბირი — და; რუსი კლასიკოსი — გოგოლი; თორნიკე მოფერებით — თოკო; ფინური ბანო — საუნა; ლოგინის ატრიბუტი — ლეიბი; საგანგებო დავალება — მისია; სამხედრო წოდება — მაიორი; რეალური — მართალი; აღმოსავლური ორთაბრძოლის სახეობა — უშუ; უბანი ლიხაურში — ნიაბური; დიახ — კი; მაღალი გორი — მთა; ანბანის მე-10 ასო — ლ.

ნაპოვნია ნაღობილეველი შინმოუსვლელის საფლავი

მიკვლეულია ნაღობილეველი შინმოუსვლელი კვიროსი **სიმონის ძე მახარაძის** ნეშთი. ამას წინათ დამიკავშირდა ქუთაისელი კახა კეპულაძე, რომელმაც მაცნობა, ოზურგეთელი-ნაღობილეველი მეორე მსოფლიო ომში დაღუპული კვიროსი სიმონის ძე მახარაძის შესახებ .როგორც გამოირკვა სევასტოპოლში სამშენებლო სამუშაობის შესრულებისას მიკვლეულ იქნა ადამიანის ნეშთი, ვინაობა გამოირკვა საფლავში დატანილი ჩანაწერებით,რომლის მიხედვით კვიროსი მახარაძე დაბადებული უნდა იყოს 1921-1922 წელს. ომში გაწვეული იქნა 1941 წლის 13 აგვისტოს.

თავად კახა კეპულაძე გახლავთ სპეციალობით ინჟინერი,მუშაობს კავშირგაბმულობის სისტემაში.იგი რამდენიმე წელი ეძებდა ომში უგზუ-უკვლოდ დაკარგულ ბაბუის საფლავს. სულ ახლახან მიაკვლია ავსტრიაში, საძმო სასაფლაოზე. არსებობს სპეციალური საიტი **smolbattle** და საძიებო ისტორიული ფორუმი, რომლის ორგანიზატორები ყველა დაინტერესებულ პირს ეხმარებიან.

კახა კეპულაძის საკონტაქტო ტელეფონის ნომერია 599464671.

მკითხველს ვთავაზობთ კვიროსი მახარაძის საფლავში ნაპოვნ მასალების ფოტოებს.

მანანა ლომაძე-
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველი

სტალინის წერილი ხაშურელ სახალხო მასწავლებელს

წერილი, რომელსაც ახლა გაგაცნობთ, რედაქციას გურიის ტურიზმის ასოციაციის მენეჯერმა **ჯანვერდი ცეცხლაძემ** გადმოგვცა.

როგორც ბატონმა ჯანვერდიმ გვითხრა, წლების წინ, მაკვანეთში, გოგიეთის ეკომუზეუმში თბილისელი კაცი, გურულების სიძე, გვარად კოლონაძე სტუმრობდა, ეკომუზეუმში ისტორიული ექსპონატების დათვალიერების შემდეგ, სტუმარს მასპინძლისთვის უთქვამს, მუზეუმს თბილისიდან თვითონაც გადმოუგზავნიდა ერთი ისტორიული დოკუმენტს, კერძოდ, სტალინის წერილს, მიწერილს ხაშურელ სახალხო მასწავლებელ პეტრე კოლანაძისადმი. პეტრე ბატონი ჯანვერდის სტუმრის ბაბუა ყოფილა.

,,პეტიას გაუმარჯოს!

ჩემი დეპეშა, როგორცა ჩანს, მიგიღია. გიგზავნი ორი ათას მანეთს. ეს ფული ჩემი ჰონორარია. ჩვენ აქ გონორარს არ ვიღებთ საზოგადოთ, — მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ვიღებთ ხანდახან. შენი გაჭირვება ჩემთვის განსაკუთრებული შემთხვევაა და ამიტომ ავიღე ჰონორარი, რომ შენთვის გამოვიყენო. გარდა ამ ფულისა, შენ მოგცემენ სესხათ 3 000 მანეთს. მე ვთხოვე ამის შესახებ ბერიას (ამიერკავკასიის საოლქო მდივანია) და იმან სიტყვა მომცა — უეჭველად აღსრულდებოდა. მაშ ასე: — 2000 მანეთი მიიღე, როგორც ჩემი მეგობრული ნობათი და 3000 მანეთი — როგორც სესხი.

იცოცხლე მრავალჟამიერ.

შენი **სოსო.**
7/XII 33 წ.“





ТЕЛЕГРАММА
Москвы
1497
24 V 22
молния
Грузия ст Хашури
Народному учителю Петру Коланадзе
Твое письмо передали мне по[illegible]
опозданием два месяца Твоя просьба
будет исполнено Привет
Сталин

სულთათანა

ბიძინა ცენტერაძის ხსოვნას

წახვედი და თან წაიღე ჩვენი გული, ბიძი .რა მალე გავიდა ბიძი ,ჩვენო მონატრებულო, შვებას ვერ ვპოულობთ, უშენობა ძალიან გვიჭირს , შენს 90 წლის გულმოკლულ დედას ვერ ვამშვიდებთ ბიძი. შენი ცოლის ცრემლები, რომელიც შვილს მონატრებული არის, ზღვას უერთდება. რა ვქნათ, ძალიან გვიჭირს, დიდი თუ პატარა ყველა უშენობას განიცდის .დადუმდა ოჯახი, უბანი, ჩვენო განუმეორებელო, თბილო, კეთილო სიტყვები არ გვყოფნის რომ შეგამკოთ. ყველა შენს კაცობაზე და კარგ ადამიანობაზე ლაპარაკობს. ბიძი, შენი სახელი უკვდავი არის და იქნება მუდამ. ღმერთმა გაანათლოს შენი სული, ბიძი.

შენი **ახლობლები**

მე ისევ თქვენთან ვარ

ლადო მექვაბიშვილის მოგონება

არიან ადამიანები, რომელთა წუთისოფლიდან წასვლის შემდეგ გვრჩება მოურჩენელი ტკივილი, რომელიც მთელი ცხოვრება თავს გვახსენებს, ჩვენს გვერდით კი — მხოლოდ მათთვის გაკუთვნილი ცარიელი ადგილი, რომლის შევსება დროს აღარ ძალუძს.

ჩემო ძამიკონა!

ერთი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. ვიხსენებ მოგონებად გადაქცეულ შენი ცხოვრების ფურცლებს. შენ იყავი უძვირფასესი ადამიანი ჩემთვის, ოჯახისთვის, ნათესავებისთვის, საზოგადოებისთვის, ოზურგეთისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრე-ბისთვის, მთლიანად ქართული თეატრალური საზოგადოებისთვის.

შენი ადამიანური ღირსებები რომ ჩამოვთვალო და ჩამოვწერო, ფურცელი კი არა, შეიძლება მთელი ცხოვრება არ

ამითავდეს.

შენ ყველასთვის საყვარელი მსახიობი და პიროვნება იყავი. ამიტომაა, რომ სულ ცოცხალი ყვავილებით არის შემკული თბილისში, მარჯანიშვილზე, მოზარდ მაყურებელთა თეატრის შენი ვარსკვლავი, რომელიც სიცოცხლეშივე გაგიხსნეს.

იმედი მაქვს, მარადიულ სასუფეველს მიგიჩენდა უფალი.

შენი და
ლამარა მექვაბიშვილი

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს ბოხვაურის საჯარო სკოლას მე-11 კლასის მოსწავლის **ნიკა ცერცვაძის** გარდაცვალების გამო.

ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის კოლექტივი იუწყება ყოფილი თანამშრომლის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის **იოსებ (სოსო) თეოფილეს ძე ბურჭულაძის** გარდაცვალებას და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.



ანასეულელი სიყრმის მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ადამიანური ღირსებებით გამორჩეული მოქალაქის, ერუდირებული მეცნიერის, კეთილი და მართალი კაცის **სოსო (იოსებ) თეოფილეს ძე ბურჭულაძის** გარდაცვალებას.



ანასეულის საშუალო სკოლის 1958 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის **სოსო (იოსებ) თეოფილეს ძე ბურჭულაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2“ გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცენდენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა,
მისამართი: 26 მაისის ქ.№ 11ა.

უფასო განცხადება ტალონი

90 ბეჭვდითი ნიშანი უფასოდ!

ძვირფასო მკითხველო, გაზეთი „ალიონი“ გთავაზობთ სერვისს „უფასო განცხადების ტალონი“, რომლის მოცულობა შეადგენს 90 ბეჭდვით ნიშანს და იგი თქვენი საჩუქარია. 90 ბეჭდვით ნიშანზე გადაცილებული ყოველი სიტყვისათვის გადასახდელი გექნებათ მხოლოდ 25 თეთრი.

გაზეთიდან ამოჭრილი და შევსებული ტალონი შეგიძლიათ წარმოადგინოთ რედაქციაში, გაბრიელ ეპისკოპოსის №3-ში.

უფასო განცხადების ტალონი ბეჭდვით მედიასაშუალებებში საქმიანი განცხადებების გამოქვეყნების ყველაზე იაფი საშუალებაა.

ისარგებლეთ ჩვენი მომსახურებით.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

2018-2021 წლებში ოზურგეთში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად, 25,3 მლნ ლარი გამოიყოფა

ქვეყნის სწრაფი და თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება საქართველოს ხელისუფლების ოთხპუნქტიანი გეგმის უმთავრესი მიზანი და პრიორიტეტია. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის დასაქმების უზრუნველსაყოფად, სოფლის მეურნეობისა და მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამები განხორციელდება. ეკონომიკის განვითარებასთან ერთად, გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, 2018-2021 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად, 25,3 მლნ ლარს გამოყოფს. მათ შორის: 2018 წელს - 5,9 მლნ ლარი, 2019 წელს - 6,2 მლნ ლარი, 2020 წელს - 6,5 მლნ ლარი და 2021 წელს - 6,8 მლნ ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდა კი, მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნებისა და ამოცანების ეფექტიან განხორციელებას უზრუნველყოფს.

2018-2021 წლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესებასა და განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2017 წლებში ადგილობრივი მნიშვნელობის 77 კმ გზის რეაბილიტაციისა და მშენებლობისთვის, ჯამში, 29 მლნ ლარამდე დაიხარჯა. მათ შორის, მხოლოდ 2017 წელს - 10,3 მლნ ლარი. იმავე პერიოდში 7,7კმ-მდე შიდა გზებზე 5,3 მლნ ლარი დაიხარჯა. აღნიშნულ პერიოდში მუნიციპალიტეტში აშენდა 8 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 16 ხიდს, ამ მიზნით ჯამურად დაიხარჯა 4 მლნ ლარამდე თანხა. 2013-2017 წლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის განვითარებაზე 11,2 მლნ ლარი დაიხარჯა. მხოლოდ 2018 წლისთვის წყალმომარაგების ქსელის განვითარებაზე დამატებით 5,5 მლნ ლარზე მეტი კაპიტალდაბანდების განხორციელებაა დაგეგმილი. ნაპირსამაგრი სამუშაოების დაფინანსების მიზნით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 3 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა და მოწყობილი ნაპირსამაგრის სიგრძე 760 მ-ს შეადგენს.

2013-2016 წლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ელექტრიფიკაციაზე დახარჯულმა თანხამ 3 მლნ ლარიზე მეტი შეადგინა. 2017-2020 წლებში ამ მიზნით დამატებით 3 მლნ ლარამდე კაპიტალდაბანდების განხორციელებაა დაგეგმილი. 2013-2017 წლებში მუნიციპალიტეტში 7 ათასზე მეტ აბონენტს დაუმონტაჟდა ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2013-2016 წლებში დამატებით აშენდა 394 კმ ახალი ელექტროგადამცემი ხაზი. 2017-2020 წლებში ნავარაუდევია დამატებით 100 კმ-ზე მეტი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა.

2013-2017 წლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გაზიფიცირება დამატებით შეეხო 3 ათას 600 აბონენტს და გაზიფიცირებაზე 17 მლნ ლარზე მეტი თანხა დაიხარჯა. ამავე პერიოდში დამატებით აშენდა 46 კმ გაზსადენი. გაზიფიცირების სამუშაოები განხორციელდა ურეკში, ზემო და ქვემო ნატანებში, შეკვეთილში. ამ სამუშაოების განხორციელებისთვის, ჯამურად, 3 მლნ 600 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა.

2018-2021 წლებისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: ბახვი-ბაღდადი-ვაკიჯვრის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა - 2 მლნ ლარი; სოფელ მერიაში 6-ჯგუფიანი საბავშვო ბაღის მშენებლობა - 1 მლნ ლარი; სოფელ სილაურის გზა 3,2 კმ - 1,6 მლნ ლარი; სოფელ ჭანიეთის გზა 1,7 კმ - 850 ათასი ლარი; შემოქმედი-ბოხვაურის გზა-მე-3 ეტაპი 1340 მ - 605 ათასი ლარი; ნასაკირალი-მელექედურის გზა მე-2 ეტაპი - 820 ათასი ლარი; შემოქმედი-გორისფერდის გზა 2500 მ - 1,1 მლნ ლარი; სოფელ მერიის ცენტრიდან მერიის ხიდამდე გზის რეაბილიტაცია - 400 ათასი ლარი; ლიხაურის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა - 2 მლნ ლარი; ბახვი-ბაღდადი-ვაკიჯვრის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა - 3 მლნ ლარი; საბავშვო ბაღის მშენებლობა დაბა ნასაკირალში (6-ჯგუფიანი) - 1 მლნ ლარი; სოფელ ნარუჯის გზა 4,5 კმ - 2,2 მლნ ლარი; წითელმთა-მაკვანეთის დამაკავშირებელი გზა 2,3 კმ - 1,3 მლნ ლარი;

სოფლების გურიანთისა და ოზურგეთის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა - 2,5 მლნ ლარი; ლიხაურის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა - 2 მლნ ლარი; სოფელ კონჭკათში, მთისპირში, შრომასა და ზემო ნატანებში 2-ჯგუფიანი ბაღების მშენებლობა - 1,8 მლნ ლარი; სოფელ ბახვში ხიდის რეაბილიტაცია - 100 ათასი ლარი; სოფელ ჯუმათის გზა 2.2 კმ - 1,3 მლნ ლარი; ბაილეთის გზა 1.5 კმ - 750 ათასი ლარი.

გარდა ამისა, დაგეგმილია და განხორციელდება შემდეგი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები: ურეკის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა - 19,8 მლნ ლარი; ურეკის წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელის მშენებლობა - 63,4 მლნ ლარი; ოზურგეთის წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელის რეაბილიტაცია და წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა - 42 მლნ ლარი; ოზურგეთი-ნატანები-ურეკის საავტომობილო გზის კმ15-16 მონაკვეთის რეაბილიტაცია - 1,2 მლნ ლარი.

2020 წლამდე პერიოდში მუნიციპალიტეტში დაგეგმილია მასშტაბური საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტის „ბრიგოლეთი-ჩოლოქის საავტომობილო მაგისტრალის“ განხორციელება, რომლის სამუშაოებზეც დაახლოებით, 200 მლნ ლარი დაიხარჯება.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

„ბავშვთა ადრეული განვითარება რეგიონებში“

ქართულ-გერმანული ორწლიანი პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის (ხელმძღვანელი **ავთანდილ მექვაბიშვილი**) ინიციატივით, თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრმა დაიწყო განხორციელება ქართულ-გერმანული ორწლიანი ერთობლივი პროექტისა „ბავშვთა ადრეული განვითარება რეგიონებში“. პროექტი ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დახმარებას, კერძოდ, ფსიქოლოგიურ პედაგოგიურ გამოკვლევას, აღსაზრდელის მდგომარეობის შეფასებას, რეკომენდაციებს მშობლებთათვის. სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ფილიალებში (საბავშვო ბაღებში) ასეთი 10 აღსაზრდელია რეგისტრირებული. პროექტის ფარგლებში თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის დირექტორმა ქალბატონმა მარინე შოსტაკმა 2017 წლის 31 ოქტომბერს ჩამოიყვანა სპეციალისტთა ჯგუფი: **დალი აბიათარი** - სამკურნალო პედაგოგი, **თამთა თათულაშვილი** - ფსიქოლოგი , სამკურნალო პედაგოგი, ალა როგოვა - ფიზიოთერაპევთი, რითმული მასაჟის სპეციალისტი, ასევე ორგანიზაცია **VFBG, Aktion Mensch** წარმომადგენლები: **ჰაიდი შმსტენბერგი და ედიტ სამსონი.**

სპეციალისტების ჯგუფმა ოზურგეთში სამედიცინო ცენტრ შპს „მედი ჰაუსში“ თითოეულ აღსაზრდელს ჩაუტარეს კვლევა. მოეწყო შეხვედრა აღსაზრდელების მშობლებთან, სპეკპედაგოგებთან და ფსიქოლოგებთან. მათ მიიღეს პირველადი კონსულტაციები. სამომავლოდ, თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის დირექტორის **მარინა შოსტაკის** განმარტებით, იგეგმება თითოეულ აღსაზრდელზე ინდივიდუალური მუშაობა და ასევე მათი მშობლების, სპეკპედაგოგებისა და ფსიქოლოგების გადამზადება უფასოდ, რათა უკეთ დავეხმაროთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატარებს. სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ხელმძღვანელობა

დიდ მადლობას უხდის შპს „მედი ჰაუსის“ დირექტორს **თინიკო შავიშვილს** მხარდაჭერისათვის.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მცირე წვიმა +9+19
6 ნოემბერი
ორშაბათი

მზე, ღრუბელი +9+17
7 ნოემბერი
სამშაბათი

მზე, ღრუბელი +8+16
8 ნოემბერი
ოთხშაბათი

მზე, ღრუბელი +6+17
9 ნოემბერი
ხუთშაბათი

მზე, ღრუბელი +7+15
10 ნოემბერი-
პარასკევი

მცირე წვიმა +7+13
11 ნოემბერი
შაბათი

მცირე წვიმა +6+9
12 ნოემბერი
კვირა